ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29.29213426**
თარიღი:**08/12/2021**

(სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. მოწონებული იქნას, (სრიგპ) საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დაფინანსების მიღების მიზნით, ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრისა, მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების ფასადებისა და ხელოვნური ჩანჩქერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები საორიენტაციო ღირებულებით 800 000 ლარი, მერის მიერ მომზადებული წინადადება.

მუხლი 2. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს;

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) განკარგულების გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM